საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კაცხი

კაცხი, სოფელი ჭიათურის მუნიციპალიტეტში (იმერეთის რეგიონი), მდ. კაცხურის (ყვირილის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას, ჭიათურა–ზესტაფონის საავტ. გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: კ., დიდი კაცხი, ეწერი, მორძგვეთი, ნავარძეთი, სალიეთი, ჯოყოეთი). ზ. დ. 610 მ, ჭიათურიდან 11 კმ, სალიეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 3 კმ. 403 მცხ. (2014).

კ-ის ტერიტორიაზე არის ზედაცარცულ კირქვებში გამომუშავებული კარსტული მღვიმეები (კაცხის I მღვიმე, კაცხის II მღვიმე და ხორბოულისკლდის მღვიმე).

კ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XI ს-ში. იგი ბაღვაშთა საგვარეულო მამულს წარმოადგენდა. გვიანდ. ფეოდ. ხანის წყაროებში გვხვდება „კაცხის ციხე". იგი თავდაპირველად სამეფო ხელისუფლებას ექვემდებარებოდა, XVII ს. 60-იანი წლებიდან კი აბაშიძეთა ფეოდ. საგვარეულო განაგებდა. XVIII ს. 50-იანი წლებიდან კვლავ სამეფო ხელისუფლების კუთვნილებაა. ციხის ნანგრევები შემორჩენილია მდ. კაცხურის მარჯვ. ნაპირზე. 1970 კ-ში ჭის გათხრის დროს აღმოჩნდა სხვადასხვა ნივთები და მონეტები, მ. შ. ორი კოლხური თეთრი. სოფლის ცენტრში დგას X–XI სს. მიჯნის ხუროთმოძღვრების ძეგლი – კაცხის ტაძარი.

სოფლის ჩრდ-ით, ორიოდე კმ დაშორებით, მდ. კაცხურის ხეობაში მდებარეობს შთენილი კლდე –კაცხის სვეტი.

ლიტ.: ტ ა ტ ა შ ი ძ ე ზ., წ ი ქ ა რ ი შ ვ ი ლ ი კ., ჯ ი შ კ ა რ ი ა ნ ი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009.

თ. ბერაძე

შ. საღარაძე